



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თოფურია სერგო ბაგრატიძის ძე

თოფურია სერგო ბაგრატიძის ძე (27. XII. 1931, სოფ. ხუნნი, ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი, – 15. III. 2011, თბილისი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი (1976), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1987). დაამთავრა სოხუმის სახელმწ. პედ. ინ-ტი (1953). 1960–66 იყო საქართვე. სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის (სოხუმი) მათ. და თეორ. მექანიკის კათედრის გამგე, 1967-იდან – სტუ-ის ზოგადი მათემატიკის კათედრის გამგე. თ-ს შრომები ეძღვნება ორთოგონალური მწკრივებისა და მათი გამოყენების საკითხებს. ავტორია უმაღლესი მათ. სრული კურსისა (თეორია და ამოცანათა კრებული ტ. 1–5, თბ., 1988–93) და საშუალო სკოლებისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოებისა (2 ტომად). მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, მ. შ. ღირსების ორდენი (1998), გიორგი ნიკოლაძის მედალი (2002).

*თბზ.*: Ряды Фурье–Лапласа на сфере, Тб., 1987; Граничные свойства продифференцированного интеграла Пуассона для различных областей и их некоторые применения, Тб., 2003.

---